

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 13

ქ.ვანი თავისუფლების N65

18 ივლისი 2018 წელი

13 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე,
გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, თორნიკე ერისთავი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა: გელა ჩიკვაძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, გია
ოჩხიკიძე, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა
განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე .**

დღის წესრიგი

1.,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის
პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი
სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით
დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს
აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017
წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: /ტარიელ ბარამიძე/

2.,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: /ივანე მამფორია/

3. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, 2018 წლის 01 ივლისის მდგომარეობით.

მომხსენებელი : /ივანე მამფორია/

4. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 6 თვის განმავლობაში გამოყოფილი და დახარჯული თანხების შესახებ.

მომხსენებელი : /ივანე მამფორია/

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს კერძოდ აიტი სპეციალისტს მოემატოს ხელფასი 50 ლარით და გაუხდა 700 ლარი.

დაადგინეს:

დამტკიცდეს და ცვლილება შევიდეს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N39 დადგენილებაში

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველი საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

მოხსენის :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და განმარტა, რომ დადგენილების პროექტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა მცირდება 214,2 ათასი ლარით. ბიუჯეტის ცვლილება ძირითადად განპირობებულია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში 2018 წლის 11 ივლისის N1397 განკარგულებით განსახორციელებელი ცვლილებებით, რის შედეგადაც სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხები შემცირდა სახელშეკრულებო ღირებულებამდე, რაც 202,5 ათას ლარს შეადგენს.

2017 წლის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან შესრულებულ სამუშაოებზე, ხელშეკრულებისა და საბოლოო შესრულებას შორის გამოვლენილი ეკონომია 11,7 ათასი ლარი დაბრუნდება სახელმწიფო ბიუჯეტში (სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მშენებლობა 9,3 ათასი ლარი, უხუთის ბაღის მშენებლობა 9,3 ათასი ლარი).

დაადგინეს:

დამტკიცდეს და ცვლილება შევიდეს „ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N 38 დადგენილებაში .

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეორე საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 3/

მოხსენის :

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, 2018 წლის 01 ივლისის მდგომარეობით და მომხსენებელმა ,განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2017 წლის 28 დეკემბერს, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N38 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7100,0 ათასი ლარის ოდენობით. 2018 წლის 6 თვის განმავლობაში ბიუჯეტში 6 - ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები საზუსტდა 11350,8 ათასი ლარის, გადასახდელები 14208,5 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება - 2857,7 ათასი ლარის მოცულობით.

დაადგინეს:

კომისიის წევრებმა განიხილეს და მოიწონეს ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა, 2018 წლის 01 ივლისის მდგომარეობით.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დღის წესრიგით წარმოდგენილი მესამე საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 4/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 6 თვის განმავლობაში გამოყოფილი და დახარჯული თანხების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2018 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 6 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებისათვის 62,9 ათასი ლარი გამოყო. გამოყოფილი თანხების საკასო შესრულება 52,7 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც საქონლისა და მომსახურების მუხლით 12,6 ათასი ლარი მიიმართა, სხვა ხარჯების მუხლით 35,7 ათასი ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 4,4 ათასი ლარი.

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მოიწონა ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 6 თვის განმავლობაში გამოყოფილი და დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაცია.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეოთხე საკითხი მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N 5/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე